№ 10

შაბათი, 16 იანვარი 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 10

შაბათი, 16 იანვარი, 1899 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

## სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატიით, რომელიც ორ-ნაწილად არის შემდგარი.

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, საოსტატო და სამართლ-მადიდებლო სემინარიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის.

შედგენილია კირიონ ალავერდის ეპისკოპოსისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ.

მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა.—შესავალი.—თეორია ენისა ანუ სტილისტიკა.—პროზა ანუ თეორია პროზისა.—თეორია პოეზიისა.—პოეზია საეპიკო და სალირიკო.—სადრამო პოეზია.

მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი I. აღწერანი მარტივნი და მხატრობითნი.—მგზავრის წერილები.—მოთხრობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი.—მსჯელობითნი თხზულებანი.—საორატორო პროზა: მჭევრმეტყველება საპოლიტიკო, სახოტბო და სასულიერო.

ნაწილი II. საეპიკო პოეზია.—საერო ეპოსი.—ესკიზი, ამბავი და მოთხრობა.—იდილიები, იგავ-არაკნი და ბალადები.—სალირიკო პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დაწერილნი საერო კილოზედ, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ეპიტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელს განყოფილებაში მოთავსებულია, სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).

მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვიერების თეორია და დამატება (ქრისტომატია) ორ ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტანისაა და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის $20^1/_2$ თაბახს და ჰღირს

ერთი მანათი.

წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალზედ ნაკლებს არ იყიდის ნაღდს ფულზედ, 20% დაეთმობა.

საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაშია. იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი

უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი

თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ.

ფასი სამი შაური. (10—7)

ნოტარიუსის

## ლევან მღებროვის კანტორა

გაიხსნება ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში გურგენოვის სახლის ზემო სართულში, № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში. (30—ნ.—1)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, უმაღლესის კარის კამერგერი თავ. სიმონ გიორგის ძე წერეთელი 1898 წლის 25 მაისის უმაღლესის ბრძანებისა და კავკასიის მთავარ-მართებლის 1898 წლის 28 დეკემბრის მე 5852 №-რის განმარტების აღსასრულებლად და 1876 წელს გამოცემულ მე-IX ტ. მე-83 მუხ. და 171 მუხ. მე-3 შენიშვნის თანახმად, სამხედრო გუბერნატორის ნებადართვით, სთხოვს ქუთაისის გუბერნიის შვიდის მაზრის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ **ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში ამა 1899 წლის 28 თებერვალს**, დილის 10 საათზედ, საგანგებო კრებაზედ იმის გამოსარკვევად, თუ მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკში თითოეულ მაზრას რამდენი რწმუნებული უნდა ჰყავდეს და ამ რწმუნებულთა ამოსარჩევად და აგრეთვე ამ უმაღლესის ბრძანების თანახმად სხვა საქმეთა გარდასაწყვეტად. ამასთან, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულების თანახმად, იმავე დღეს, 28 თებერვალს, უნდა მოხდეს არჩევანები სენაკის, ზუგდიდის და ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა რწმუნებულთა. (3—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ჰ. ა. ხავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

## ვკისრულობ

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

რაც შეიძლება ჩქარა გასრულებ საქმეს სესხის გატანისას როგორც სამეურნეო, ისე სატყეო სარგებლობისათვის.

ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26, ტელეფონი № 567. (20—3—2).

### მთავრობის განკარგულებანი

ებოძა პოდპოლკოვნიკობა—ტფილისის საარტილერიო საწყობის კაპიტანს ჯავრიშვილს.

გადაყვანილ იქმნენ: ყარსის ციხის ქვეითა რაზმის პოდპორუჩიკი იმნაძე—გრენადერთა ტფილისის მე-15 რაზმში; ერევნის ხაზინის უმცროსი ბუჰჰალტერი ჩინჩალაძე—იმავე ხაზინის კასსირად.

გამწესებულ იქმნა აზნაური კალიერიან რატიანი—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

დანიშნულ იქმნა ეპიფანე კეთილაძე — ფოსტალიონად ჩარჯუი-ტაშკენტში.

დათხოვნილ იქმნა თავისისავე თხოვნით თანამდებობიდგან ახალქალაქის სამაზრო პოლიციის გამგეობის თარჯიმანი კონსტანტინე ბარნოვი.

კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით სამსახურიდგან გადაყენებულ და სამართალში მიცემულ იქმნა ბორჩალოს მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი არნოლდი, რომელსაც თანამდებობის აღსრულების დროს ჩადენილი უკანონობა ჰბრალდება.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა შესწირა 100 მანეთი ხარკოვის უნივერსიტეტის კავკასიელ სტუდენტთა სასარგებლოდ.

*** 14 იანვარს, ნინოობა დღეს, წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში მწირველი ბრძანდებოდა მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. წირვის შემდეგ გამართულ იქმნა წლიური აქტი, რომელსაც დაესწრნენ მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ, კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი, კავკასიის ჯარის კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ე. ე. ზეზემანი, უმაღლესის კარის ეგერმეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე მეუღლითურთ და მრავალნი სხვანი. საღამოთი სასწავლებელში ბალი იქმნა გამართული.

*** ამავე დღეს სიონის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდი. წირვას აუარებელი ხალხი დაესწრო.

*** ფოთიდგან დეპეშით გვატყობინებენ: „დღეს, 14 იანვარს, ადგილობრივ მოხელეთა და აუარებელის ხალხის თანადასწრებით ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ აკურთხა წიგნო-საცავ-სამკითხველო. ამასთან ყოვლად სამღვდელომ შესწირა სამკითხველოს 100 მანეთი“.

*** მთავრობამ ნება დართო ქალაქის გამგეობას დააარსოს კუკიაში ქალაქის სამკურნალოს განყოფილება. სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ სამკურნალოს განყოფილებისათვის უკვე აჩენილია სადგური მელქუმოვის სახლში, ფრანგებისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში. სადგურში 7 ოთახი იქმნება. ქირა წელიწადში 600 მანათია.

*** გუშინ, 15 იანვარს, ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორმა ბ-მა სტეფანოვმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა ქალაქმა თავის ხარჯით გამართოს ტელეფონი ვერაზე ბავშვების სამკურნალოში, რომელსაც „იასლი“ ეწოდება, ვინაიდგან ამ სამკურნალოს იმდენი შეძლება არა აქვს, რომ ტელეფონის ფასი თითონ აძლიოს. იმავე ინსპექტორმა ბ-მა სტეფანოვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას სადეზინფექციო კამერისათვის კიდევ ერთი ფერშალი და ერთი მოსამსახურე დაგვინიშნეთ, რადგანაც კამერას ამ ჟამად ბევრი საქმე აქვსო.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გამოუწერია ლონდონიდგან 10,000 ფუთი შაბიამანი. რამდენიმე ნაწილი ამ შაბიამანისა უკვე მიუღიათ ბათუმში.

*** კავკასიის ყაზახთა მეორე დივიზიის უფროსად დანიშნულ იქმნა იმავე დივიზიის ბრიგადის უფროსი გენერალ-მაიორი თავ. ი. მ. ჯამბაკურ-ორბელიანი.

*** გუშინ, 15 იანვარს, გამგეობის წევრმა ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკიმ შეიტანა ქალაქის გამგეობაში განცხადება იმის შესახებ, თუ ქალაქმა როგორ უნდა იდღესასწაულოს 26 მაისს პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების დღე. თავ. არღუთინსკის აზრით, საჭიროა 1, სემინარიის წინ ბაღში პუშკინის ძეგლთან გარდახდილ იქმნას პანაშვიდი; 2, დაარსებულ იქმნას მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტში თითო სტიპენდია პუშკინის სახელობაზედ (თითო 400 მანეთი); ეს სტიპენდიები უნდა მიეცეს ქალაქის გამგეობის გარდაწყვეტილებით ტფილისელ სტუდენტებს; როდესაც ტფილისში დაარსებული, იქმნება უმაღლესი სასწავლებელი, ეს სტიპენდიები ამ სასწავლებელში დაინიშნოს; 3, იმ პირველ-დაწყებით სასწავლებლებიდგან, რომელნიც უნდა იქმნენ წელს ტფილისში დაარსებული, ორს ეწოდოს ა. ს. პუშკინის სასწავლებელი; 4, გამართულ იქმნას 26 მაისს ქალაქის სასწავლებლებში „დილა“ პუშკინის სახსოვრად და გადადებულ იქმნას ამისათვის 300 მანეთი; 5, გადადებულ იქმნას 300 მანეთი პუშკინის თხზულებათა შესაძენად. ეს თხზულებანი უსასყიდლოდ უნდა დაურიგდეს ქალაქის სასწავლებელთა მოსწავლეებს. თავ. ა. მ. არღუთინსკი თხოულობს, რომ ეს განცხადება, ვიდრე საბჭოს წარედგინება, გარდაეცეს განსახილველად საბჭოს სასწავლებელთა და საფინანსო კომისიებს.

*** ხუთშაბათს, 14 იანვარს, სცენის მოყვარეთა მიერ ავჭალის სახალხო კითხვების სადგომში სახალხო წარმოდგენა იქმნა გამართული. ითამაშეს დრამა „და-ძმა“. ხალხი ბლომად დაესწრო წარმოდგენას.

*** ქალაქის გამგეობის უკანასკნელს კრებაზედ, 14 იანვარს, გამგეობის წევრმა თავ. არღუთინსკი-დოლგორუკიმ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ქალაქის მიწების მოიჯარადრეთ ნება მიცეთ დაუგირავონ ხოლმე კერძო კაცებს ამ მიწებზედ აგებული შენობანი. ქალაქის გამგეობამ, განიხილა-რა ეს საგანი და, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ქალაქი ამითი არაფერს დაჰკარგავს, დაადგინა ნება მისცეს იჯარადართ ქალაქის მიწებზედ აგებული შენობანი დააგირაონ ხოლმე იმ პირობით კი, რომ ქალაქის მიერ გაცემულ მოწმობის ქაღალდზედ დააწერონ, შენობა ქალაქის მიწაზედაო.

*** 18 იანვრისათვის ქალაქის საბჭოში დანიშნულია განსახილველად შემდეგი საგნები: ქალაქის ლომბარდის გამგესი და ხმოსნის თავ. ნ. ე. არღუტინსკი-დოლგორუკოვის მოხსენება ლომბარდის საქმეთა შესახებ; მოხსენება კომისიისა საბჭოში მორიგ საქმეთა განხილვის წეს-რიგის შესახებ; მოხსენება კუკიისა და ავლაბრის აგარაკების იჯარით გაცემის ვადის შესახებ; მოხსენება კავკასიის ას-

იმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა, რომელიც სთხოვს საბჭოს ალექსანდრეს ბაღში საზოგადოების სადგურთან ნება მისცეს გამართოს ფარდული სამეურნეო იარაღის დასაწყობად. მოხსენება გამგეობისა პურისა და ხორცის ნიხრის შეცვლის შესახებ და სხვ.

⁂ 14 იანვარს, გენერალ-ლეიტენანტის ე. ე. ზეზემანის თავმჯდომარეობით კრება ჰქონიათ ტფილისში ამიერ-კავკასიის გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს. კრებაზედ ლაპარაკი იყო ქურდობა ავაზაკობის მოსპობის შესახებ.

⁂ დღეს, 16 იანვარს, ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ექმნება საბჭოს სასწავლებელთა კომისიას. კომისიამ უნდა შეიმუშავოს პროექტი ქალაქის სასწავლებელთათვის საკუთარის შენობის აგების შესახებ.

⁂ 17 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში კრება ექმნება კავკასიის იურიდიულ საზოგადოებას. ამ კრებაზედ, სხვათა შორის, არჩეულ იქმნებიან თანამდებობის კაცნი 1899 წლისათვის.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატაში 6 თებერვლისათვის არის დანიშნული განსახილველად საქმე აზნაურის დავით კეზელისა, რომელსაც ჰბრალდება კონსტანტინე შაბურიშვილის მოკვლის განზრახვა და ბარამ შაბურიშვილის მოკვლა. ეს საქმე განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლომ დუშეთში 4—5 სექტემბერს 1897 წელს. სასამართლომ დამნაშავედ სცნო აზნაური დავით კეზელი და გლეხი ალექსანდრე მახარაშვილი კონსტანტინე შაბურიშვილის მოკვლის განზრახვაში, ხოლო ბარამ შაბურიშვილის მოკვლაში-კი ორთავე ბრალდებულნი უდანაშაულოდ იქმნენ აღიარებულნი. ამ განაჩენისა კმაყოფილი არ დარჩა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი მოსეცირი და საქმე გადიტანა პალატაში. თვით აზნაურმა დავით კეზელმაც განასაჩივრა საქმე სამოსამართლო პალატაში.

⁂ წყნეთიდგან სწერენ: „ტფ. ფურ.“-ს 13 იანვარს, ღამე, ჩვენს სოფელში ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს ადგილობრივის მღვდლის მახათაძის სახლს. ცეცხლი პირველად მედავითნემ შეამჩნია, რომელმაც მაშინვე მამასახლისს შეატყობინა ეს ამბავი, მაგრამ მამასახლისს რა შეეძლო. გადაიწვა მთელი ქონება მღვდლისა, მხოლოდ ერთი ცხენი-ღა გადაარჩინეს. ზარალი 4,000 მანეთამდე იქნება.

⁂ როგორც „ტფ. ფურ.“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდგან, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე უკვე წამოსულა პეტერბურგიდგან ტფილისში.

⁂ როგორც „ტფ. ფურ.“-ი იუწყება, იმ უთანხმოების გამო, რომელიც ქალაქის მოურავსა და გამგეობის წევრს თავ. არღუთინსკი-დოლგორუკის შორის მოხდა, გამგეობის წევრებს ე. ე. ხოსროევს, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს და ბ-ნ შესტაკოვს გადაუწყვეტიათ მიანდონ ამ საქმის გარჩევა სამედიატორო სამართალს. ამასთან დაუდგენიათ მოსამართლეებად ისეთი კაცები აარჩიონ, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ქალაქის თვითმმართველობასთან.

⁂ გაზეთ „კავკ.“-ს სიტყვით, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს გენერალ-მაიორ შუტლევორტს სხვა მაღალ თანამდებობას აძლევენ.

⁂ „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, მიწად-მოქმედების სამინისტრო უკვე შესდგომია ცნობების შეკრებას ბათუმისა და ართვინის ოლქებში თავისუფალ ადგილების შესახებ. აზრადა აქვთ ამ თავისუფალ ადგილებზედ შიდა რუსეთიდგან გადმოსახლებულნი დაასახლონ.

⁂ „Рус. Вѣд.“-ს სიტყვით, მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუდვია 7,200 მან. ქუთაისის გუბერნიაში თამბაქოს პლანტაციების გასამართავად.

⁂ დ. სამტრედია, (ქუთაისის მაზრა.) ჩვენს დაბაში ისეთი ტალახი სდგას ქუჩებში, რომ კაცს გავლა უჭირს. მამასახლისებს რაღას უნდა დავემდუროთ, როდესაც აქ ორი ბოქაული სცხოვრობს და გზები უყურადღებოდ არის მიტოვებული. რაც ექიმი ლორთქიფანიძე გადავიდა, მას შემდეგ მეტად შეწუხებულნი ვართ უექიმობით. თუმცა გვყავს ერთი გამოცდილი ფერშალი, მაგრამ დაბას გასწვდეს, თუ რიონ-გაღმა-გამოღმა სოფლებს.

⁂ ს. ჭუჭუმი, (ქუთაისის მაზრა). ამ სოფელში გახშირებულია ყვავილი. უკანასკნელ ორის კვირის განმავლობაში მრავალი იმსხვერპლა ამ სენმა. მდ. რიონის ნაპირას სამტრედიაში მიმავალი გზა მეტად გაფუჭებულია; მუხლამდის ტალახში ეფლობა ცხენი; ეტლებს მეტად უჭირს მიმოსვლა ამ გზაზედ.

⁂ დ. ხონი. ამ ახლო ხანში აქეთ შემდეგი ამბები მოხდა: ქუთაისიდგან მომავალი ომნიბუსი მოგზაურებიანად და ცხენებით გადავარდა ბორნიდგან მდ. გუბის წყალში. ეტლში ისხდნენ, კაცებს გარდა, ქალებიც, რომელნიც ერთიანად ჩაყურყუმელავდნენ წყალში, ხიდზედ მუშა-ოსტატები დაეხმარნენ მეეტლეს და ძლივს გადაარჩინეს დარჩობას ცხენები და მოგზაურები.

ეტლი მესამე დღეს დიდის გაჭირვებით ამოათრიეს წყლიდგან, დიდიხანია, რაც მუშა ადგია ხიდს, მაგრამ ჯერ არაფერი ეშველა, რის გამოც ამ გვარ შემთხვევებს აქ ხშირად აქვს ადგილი.

11 იანვარს დ. ხონს ერთს სამჭედლოში ნახეს თოკზედ ჩამოკიდებული დამრჩვალის კაცის გვამი. როგორც აღმოჩნდა, ეს კაცი ყოფილა მჭედელი, რომელიც თავისს სამჭედლოიდგან შესულა ღამით უკანა კარებიდგან მეზობლის სამჭედლოში და დაურჩვა თავი. მეორე დილით ამ სამჭედლოს პატრონს გაუღია წინა კარები და დაუნახავს კაცის ჩამოკიდებული გვამი; შიშით გამოვარდნილა ისევ გარეთ და დაუწყია ყვირილი. რა მიზეზის გამო დაირჩო თავი ამ კაცმა, არ იციან.— აქეთ ძლიერ გახშირებულია ყვავილი და ყელის ტკივილი.

⁂ როგორც გაზ. „კავ.“ სწერენ, სიღნაღის მაზრის სოფ. ჩაილურსა და კაკაბეთში ყვავილი გაჩენილა.

⁂ როგორც „ქუთ. საგუბ. უწყ.“-ი იუწყებს, ქუთაისის გუბერნიაში ამ ჟამად მძვინვარებს ინფლუენცია, ხუნაგი და ყვავილი. ამ უკანასკნელ ავადმყოფობას რამდენიმე კაცი კიდეც უმსხვერპლია.

⁂ მიხეილ შიოევის საამპელაციო საჩივარს ტფილისის სამოსამართლო პალატა განიხილავს 18 იანვარს. მკითხველებს ახსოვებათ უთუოდ, რომ შიოევს ჰბრალდება თავის ბიძის მოკვლა, რომელიც ამ ოცის წლის წინად მომხდარა. ოლქის სასამართლომ შიოევს კატორღაში გაგზავნა გადაუწყვიტა. პალატაში ბრალდებულს დაიცავს ნაფიცი ვექილი პ. ე. რეიხარტი. პალატამ გამოიხმო მკურნალები აბზიანიძე, ბალაკირევი და ყორღანოვი იმის გამოსარკვევად შიოევი მკვლელობის დროს სრულს გონებაზედ იყო თუ არა.

⁂ გაზ. „ნორ-დარ“-ს სწერენ გორიდგან, რომ კავკასიის სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების გორის განყოფილებამ დაადგინა გამართოს წელს ქ. გორში ჭრა-კერვის სკოლა.

⁂ 29 იანვარს „ტფილისის კრუჟოკის“ სადგომში გამართული იქმნება ბალ-მასკარადი ამას წინად ავლაბარში დაარსებულ ბავშთა თავ-შესაფარის სასარგებლოდ.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა მაიორ შტაბს-კაპიტანს კოინოვ-ორანსკის მიანდო ქალაქის მეცხრე საპოლიციო ნაწილის გამგეობის საქმეთა რევიზია.

⁂ ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მორფილი დიდის ყურადღებით ეკიდება ქართულს მწერლობას და მეტადრე ქართველ მწერლების ისტორიულ გამოკვლევებს. ამ დღეებში მ. ჯანაშვილს მოუვიდა მისგან წერილი შემდეგის შინაარსისა:

„ნებს გიბრძანებთ მადლობა გადაგიხადოთ წიგნებისათვის, რომელნიც თქვენგან მივიღე *). გზედავ რაც საუნჯენი გქონიათ თქვენ თქვენს სიძველეთსაცავში (საეკლესიო მუზეუმში). უდიდესის ინტერესით წავიკითხე თქვენ მიერ შედგენილი საქართველოს საეკლესიო ისტორიის პირველი წიგნი. ფრიად მორჩილად და ზედმიწევნით იძლევით უმთავრესს ამბებს თქვენის ისტორიისას, რომელსაც ესრე ნაკლებად იცნობენ დასავლეთში. იმედი მაქვს მალე ერთერთს ჩვენს განხილვაში დავბეჭდო დაწვრილებითი ცნობები თქვენთა გამოკვლევათა შესახებ...“

⁂ ზიბერტი, რომელმაც ამ სამის დღის წინად უცაბედად რევოლვერი მოირტყა, 14 იანვარს გარდაიცვალა.

⁂ გაზ. „კავ.“ სწერენ, რომ ამას წინად გორის მაზრის სოფ. ქსუში ჩხუბი მოუვიდათ ადგილობრივ მცხოვრებლებს აზ. ივანე უთნელიშვილს, მამასახლისის თანაშემწეს მიხა გიგოევს და გლეხს სანო ტალიაშვილს, რომლის დროს უთნელიშვილმა ხანჯლით მოჰკლა ტალიაშვილი. თვით უთნელიშვილიც რამდენსამე ადგილს დაუჭრიათ.

*) ეს წიგნებია „Тифлисское церковн. древлехранилище“ და „Исторія грузинской церкви“.

⁂ როგორც „ტფ. ფ.“-ს სწერენ დუშეთის მაზრიდგან, ახალ წლის დღეს სოფ. დიდებაანთ კარში სანდრო დიდებაშვილს ხანჯლით მოუკლავს თავისივე სოფლელი ახალგაზდა გლეხი დიდებაშვილი. მკვლელობა სიმთვრალის დროს მომხდარა.

⁂ იმავე გაზეთს სწერენ, რომ დუშეთის მაზრის სოფ. თანიანთ-კარში მიდიოდნენ მოხუცებული დედაკაცი და იმის ნათესავი ახალგაზდა გასათხოვარი ქალი. გზაზედ დახვდათ მათ საგირაშვილი თავისის ამხანაგებით, სტაცა ხელი ახალგაზდა გასათხოვარ ქალს და ტყეში გააქანა. დედაკაცმა მაშინვე დუშეთში პოლიციას შეატყობინა ეს ამბავი და არ გასულა ბევრი ხანი საგირაშვილი და იმის ამხანაგები შეიპყრეს და დუშეთში მოიყვანეს.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲓᲐᲛ

პედაგოგიის უმეცარი მედავითნე და მისი სკოლა.

1898 წლის „ივერიის“ 270 №-ში მოთავსებულია მოწერილი ამბავი ვარდისუბნის სამრევლო-საეკლესიო სკოლის შესახებ და იქნობამდის მოკლებულია სიმართლეს, იქნობამდის ზაკვით სავსეა, რომ ამ მოწერილი ამბის წაკითხვისათანავე გამახსენდნენ ყველანი, ვინც რედაქციას აწვდიან შეთხზულ ცნობებს იმ იმედით, რომ რედაქციას არავითარი საშუალება არა აქვს, ყველა ეს შეამოწმოს. ამ ვაჟბატონების ცნობებში ან ილანძღება ნამდვილი მოღვაწე და უმრავლესობის კეთილის-მყოფელი, ან კიდევ იხატება მოღვაწედ და კეთილის-მყოფელად მისთანა პირი, რომელსაც ვნების მეტი არა მოუტანია-რა. პირველსაც და მეორესაც საკუთარი სარგებლობა აქვს მიზნად. ან უნდათ მოღვაწის დამცირება, რომ გზიდამ ჩამოიცალონ და სრბოლა გაიადვილონ,— ან თავის ქებით კაცუნობიდამ გარდიქცნენ კაცად, რისთვისაც შემდგარია მთელი გუნდი, რომლის მოქმედებაც ოზობის ქსელივით გაბმულია.

ყველა ეს გამახსენა ვარდისუბნის წმ. გიორგის ეკლესიასთან დაარსებულმა წერა-კითხვის სკოლამ და მისმა მოღვაწეებმა. ეს სკოლა დაარსებულია მღ. ალექსანდრე ტაბლიევის მეცადინეობით, რომელიც იმ უაღრესობამდის მივიდა, რომ პირველ წელიწადს სკოლისათვის თვით დაიქირავა სახლი. სკოლა დაარსდა 1893 წ. ოქტომბერში და მასწავლებლობდა თვით დამაარსებელი. მოსწავლე იყო 10. სასწავლო წლის ბოლოს, 1894 წ. თიბათვეში, მოსწავლეთა გამოცდას დაესწრო სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ბ-ნი შიუკაშვილი და მასწავლებელს მადლობა უთხრა. შემდეგ წელიწადს მოსწავლეთა რიცხვმა ერთი-ორად იმატა. სკოლისათვის სახლი ახლა ამავე სოფლის მოძღვარმა დეკანოზმა მთვარელიშვილმა დაიქირავა თვისი საფასით. მასწავლებლობდა იგივე მ. ტაბლიაშვილი. შემდეგ წელიწადშიაც საქმე კარგად მიდიოდა. 1897 წ. აქ გადმოიყვანეს ბ-ნ კორრესპონდენტისაგან დაწუნებული მედავითნე ნიკოლოზ ბაკურაძე, რომელიც იყო მედავითნედ და ამასთანავე სკოლის მასწავლებლად, მღ. ნიკოლოზ ჯაჯანიძის ხელმძღვანელობით, ს. კურდღელაურში. ამ დროს დაარსდა ზედამხედველების თანამდებობა სამრევლო სკოლებისა. დაწუნებულ მედავითნეს აი რა ჩაუწერა საეპარქიო ზედამხედველმა ბ-ნმა ტატიშვილმა პირველსავე წელიწადს: „1897 წ. ოქტომბრის 22-ს რიცხვსა ვნახე ვარდისუბნის წერა კითხვის სკოლა და აღმოჩნდა მასში 23 მოსწავლე, რომელთაგან 13 ვაჟი და 10 ქალი. ცოდნა ყველა საგნებისა, თანახმად პროგრამისა, სრულიად საკმაო აქვთ. საღმრთო სჯული ქართულად უფრო კარგად იციან სხვა საგნებთან შედარებით. საზოგადოდ ეტყობა მეცადინეობა. ურჩევ წლის მეორე ნახევრიდამ საღმრთო ისტორია ასწავლონ რუსულ ენაზედ“.

არ გასულა ორი თვე, ახლა სამაზრო ზედამხედველმა ინახულა იგივე სკოლა და აი რა ჩაუწერა სკოლის დავთარში: „სკოლა გავშინჯე 1897 წ. დეკემბრის 16-სა რიცხვსა. სკოლაში არის 21 მოსწავლე, რომელთაგან 9 ქალია. სუყველა საგნებიდამ კარგად იციდნენ, განსაკუთრებით საღმრთო სჯული, რომლიდამაც ზოგმა მეორე განყოფილების მოსწავლემ ზოგიერთი ლოცვები რუსულად იცოდა“.

ამავე სამოსწავლო წელიწადს კიდევ ინახულა სკოლა სამაზრო ზედამხედველმა მ. ჯაჯანიძემ და წლის გასულს მისგან დანიშნულმა კომისიამ მისივე თავჯდომარეობით გამოსცადა მოსწავლენი და მადლობა განუცხადეს კორესპონდენტის მიერ დაწუნებულს მედავითნეს და მღ. ტაბლიაშვილს.

ადგილობრივმა განყოფილებამ საეპარქიო სამოსწავლო რჩევისამ ამ სკოლაში მეცადინეობისათვის მღვ. ალექსანდრე ტაბლიაშვილზედ წარადგინა შუამდგომლობა, რომ უწმ. სინოდისაგან ებოძოს დაბადება და დაწუნებული მედავითნე წარადგინა სადვდელმთავრო ლოცვა-კურთხევაზედ.

1898 წ. სექტემბრის 13-სა ინახულა იგივე სკოლა იმავე დაწუნებული მედავითნეს მასწავლებლობის დროს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ, საქართველოს ექსარხოსმა. სკოლაში აღმოჩნდა 29 მოსწავლე, რომელთაგან 11 ქალი იყო და 18 ვაჟი. სახლის ვიწრობის გამო მეტი ვერ მიეღოთ, თუმცა მსურველი ერთი სამად ყოფილიყო. ექსარხოსმა გამოსცადა მოსწავლენი და მადლობა უბრძანა მედავითნეს და მღვდელს. გადაშალეთ „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბეს“ 1898 წ. დეკემბრის № და აი რას ამოიკითხავთ: „ეცხადება საეპარქიო მთავრობის მადლობა, საღმრთო კურთხევის გარდაცემით, საეკლესიო სკოლების გახსნისა და მათთვის ხელშეწყობის საქმეში ერთგული შრომისა და ამ სკოლებში სწავლებისათვის ქვემო დასახელებულ პირებს: ვარდისუბნის მედავითნეს ნიკოლოზ ბაკურაძეს, მღვდელს ვარდისუბნისას ალექსანდრე ტაბლიაშვილს.

ეს გახლავთ, ბ-ნო მკითხველო, ის ვარდისუბნის სკოლა, რომელსაც კორრესპონდენტის სიტყვით, „წინმსვლელობა არაფერში არ დაეტყო“, და ეს არის ის მედავითნე—მასწავლებელი, რომელმაც, იმავე კორრესპონდენტის სიტყვით, „ვერ დააკმაყოფილა ცოტათ თუ ბევრად მოთხოვნილება გლეხებისა“; რადგანაც „გლეხი კაცი კარგად ჰხედავს, რომ იმისი შვილი ვერასა სწავლობს. ან კი რა უნდა ისწავლოს, როდესაც თვით მასწავლებელმა არ იცის რა

არის „პედაგოგიკა", საჭმელია თუ სასმელი".

ბ-ნს კორესპონდენტს დაჰვიწყებია, რომ მისგან დაწუნებულ მედავითნეს მასწავლებლობის მოწმობაცა აქვს. ისიც დაჰვიწყებია, რომ თუნდა მოწმობა არა ჰქონდეს „ხე ნაყოფისა თვისისაგან იცნობების" და არა მოწმობა—დიპლომებითა. არც ის გაუხსენებია კორესპონდენტს, რომ არიან დიპლომიანებიც, მაგრამ ზოგს მათგანს მიეცა წინადადება დაანებონ თავი სკოლას, რადგანაც თეორიულად შესწავლილი „პედაგოგიკა" საქმეში ვერ გამოუყენებიათ.

ნეტავი ყველა საეკკლესიო წერა-კითხვის სკოლებში ამისთანა პედაგოგიის უმეცარი მასწავლებელნი ეყვანდნენ და ზოგიერთისთანა პედაგოგიის მეცნიერნი ნაკლებად, მაშინ ამისთანა კორესპონდენტები თვით შევიდოდნენ სინანულში და შესთხოვდნენ ღმერთსა: „დაიცხერენაი ჩვენი ბოროტისაგან და ბაგენი ჩვენი ნუ იტყვიან ზაკვასა".

ნადიკვრელი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ზველი,** (ახალციხის მაზრა), 4 იანვარი. ორი წელიწადია, რაც მრევლმა თავისის ხარჯით აუშენა ეკკლესიის გალავნის გვერდით მღვდელსა და დიაკვანს სადგომი სახლი და ერთი ოთახიც საეკკლესიო სამრევლო სკოლისათვის. ამ სკოლაში, ზველიელების გარდა სოფ. ჭობარეთიდგანაც დადიან ბავშვები სასწავლოდ, ერთ-ნახევარ ვერსის სიშორეზედ. ქალიშვილები უფრო ნაკლებ მოდიან სკოლაში, ვიდრე ვაჟები. როგორც ზველში, ისე იმასის ახლო-მახლო სოფლებში, ქრისტიან ქართველებთან ერთად სცხოვრობენ გამაჰმადიანებული ქართველებიც, რომელნიც ზოგიერთ წეს-ჩვეულებას ქართულ მამა პაპურს ასრულებენ და ბევრმა ქართული ენა კარგად იცის, მაგრამ, საუბედუროდ, ამათგან ერთი ბავშვიც არ დადის სკოლაში. ესენი ჯერ-ჯერობით უფრთხიან ამ სკოლას და ეჭვით უცქერიან. თუმცა ზოგიერთებს ჰსურთ შვილების მიყვანა, მაგრამ პირველად ვერც ერთს ვერ გაუბედნია, რადგან სხვებისა სცხვენია და ერთი მეორის გამო რიდობს. აქ თითონ ხალხი ისე არ არის დამნაშავე, როგორც იმათი მოლლები. აი, თუ გინდ, ეს მაგალითი აიღეთ: წარსულ შემოდგომაზედ ერთმა მაჰმადიანმა ქვრივმა დედაკაცმა თავისი მოზრდილი ქალიშვილი გაჰგზავნა ზველის სკოლაში სასწავლებლად. ეს ქალი რამდენიმე დღე დადიოდა სკოლაში ქართველ გლეხის გოგოებთან ერთად და ხალისიანად შეუდგა სწავლას, მაგრამ მალე ისევ დაანება თავი, იმიტომ რომ მოლლას დაუშლია ამის დედისათვის,—შენ შვილს ქრისტიანების სკოლაში რად ატარებო.

ამ სამრევლო სკოლისათვის მთავრობას საკუთარი მასწავლებელი ჯერ არავინ დაუნიშნავს. მასწავლებლობის თანამდებობას ასრულებენ ადგილობრივი მღვდელი მამა ეფ. ინ—ძე და მედავითნე ბ—ძე. სკოლაში სწავლების დროსაც კი ხშირად მოუხდება ხოლმე ხსენებულ მღ. ინ—ძეს სოფლებში საეკლესიო თავისის სამსახურის შესასრულებლად, მაგრამ, ამისდა მიუხედავად სკოლის საქმეს ის მაინც ბეჯითად ეპყრობა და თავისს მრევლში წერა-კითხვის გავრცელებისათვის ძალ-ღონეს არა ჰზოგავს. აი, ეხლაც, როდესაც დარწმუნდა, რომ ამ სკოლაში სწავლას იქმნებდნენ მხოლოდ ვაჟები, უმრავლესობაკი, მოზარდი თაობა, რჩებოდა ისევ უვიცი წერაკითხვისა, ამათვინაც ბლაღოჩინის დეკანოზის მ. ხახუტაშვილის რჩევით, მღ. ი—ძემ დააარსა ცალკე საკვირაო სკოლა. 3 იანვარს, წირვის გამოსვლის შემდეგ, ხალხის თანადასწრებით სკოლის დარბაზში მცირე აიაზმა ასხურა და შემდეგ მიჰმართა იქ დამსწრე მრევლს მოკლე ქადაგებით; აუხსნა ხალხს მდაბიურად სწავლის სარგებლობა და აუცილებელი საჭიროება მისი აწმყო დროში. ხალხმა ყურადღებით მოისმინა მღვდლის საუბარი. მსურველი ბევრი აღმოჩნდა სწავლისა კვირა უქმე დღეობით. იქვე შედგენილ იქმნა სია და იმ დღესვე სამი საათის განმავლობაში ზეპირად შეისწავლეს რამდენიმე მოკლე ლოცვა და გაიცნეს ანბანის ზოგიერთი ასოები.

ტ. ზ—ძე

## რუსეთი

გამოქვეყნებულ იქმნა ოფიციალური ცნობები 1898 წლის მოსავლის შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგან სჩანს, 1891 და 1892 წლებთან შედარებით, შიდა რუსეთის 50 გუბერნიაში ორთა შუა რიცხვით თითო სულზედ მოდიოდა 1898 წელს 24,93 ფუთი პური, 1892 წ.—20,59 ფუთი, 1891 წ.—17,18 ფუთი. ყველაზედ გაჭირვებულ მდგომარეობაშია: ყაზანის გუბერნია, სადაც თითო სულზედ მოდის 0,45 ფუთზედ და უფისა—2,5 ფუთზედ ნაკლები, ვიდრე 1891 წელს.

— როგორც ვუწყით, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებული იქმნას დედათა უმაღლესი სასოფლო სამეურნეო სასწავლებლები. ეხლა, „Прав. Вѣст."-ს სიტყვით, მიწად-მოქმედების სამინისტრომ გარდასწყვიტა მოახდინოს მოლაპარაკება ამ საგნის და საზოგადოდ დედათა სამეურნეო სწავლა-განათლების მოწყობის შესახებ. მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი საერო განათლების სამინისტროსი, უწმ. სინოდისა და იმპერატრიცა მარიას უწყების დაწესებულებათა.

— პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ გამართულ იქმნას პარიჟში მსოფლიო გამოფენის დროს იაფ-ფასიანი სადგომები საერო განათლების სამინისტროს იმ მასწავლებელთათვის, რომელნიც გამოფენაზედ წავლენ. იმედი აქვთ, რომ თვით საფრანგეთის მთავრობა დაუთმობს უსასყიდლოთ პარიჟში ამ საქმისათვის რუსეთს ორს პირველ-დაწყებით სკოლის შენობას.

— გაზ. „Нов."-ი იუწყება, რომ საერო განათლების სამინისტროს განკარგულებით, აწ არსებული სამაზრო სასწავლებლები გადაკეთებულ იქმნება სამოქალაქო სასწავლებლებად. ამასთან რათა სამაზრო სასწავლოს ბევრი მასწავლებელი უადგილოდ არ დარჩეს, საუკეთესოებს მათგანს დანიშნავენ სამოქალაქო სკოლების მასწავლებლებად.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო, რომ მოწვეულ იქმნას პეტერბურგში სრულიად რუსეთის დანტისტთა მეორე კრება. კრება მოხდება 10-დგან 15 ივლისამდე.

— პეტერბურგისა და მოსკოვის ტყავის ქარხნების პატრონთ შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ნება დართონ მათ გამართონ სრულიად რუსეთის გამოფენა ტყავის ნაწარმოებთა.

— როგორც „Рус. Вѣд."-ი იუწყება, გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რუსეთის რკინის გზებზედ სამკურნალო ნაწილი განაცალკევონ რკინის გზის სხვა საქმეებისაგან და ამ ნაწილის გამგეობა ჩააბარონ ერთს უფროს მკურნალს.

— როგორც პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ „კავკას"-ს, გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა გაამრავლოს რკინის გზათა სასწავლებლის რიცხვი.

## უცხოეთი

**ფილიპინები.** ილო ილოში გულსმოდგინედ ემზადებიან თურმე ფილიპინელები ამერიკელების თავს დასხმას. ამ დღეებში ერთს ღამეს ნავებით ქვა მიუზიდნიათ და მდინარე ამოუვსიათ, ასე რომ ეხლა პატარა ნავები თუ შევა ზღვიდგან მდინარეში, თორემ გემი ვერას გზით ვერ მოახერხებს. ყველას ნაბრძანები აქვს თავ-თავის ადგილას დარჩნენ; ვინც სასტიკს დადგენილებას დაარღვევს, სიკვდილით სჯიან. ფილიპინელები ნებას არ აძლევენ ამერიკელებს გემებიდგან სადმე ნაპირას გადავიდნენ; ყველგან დარაჯები ჰყავთ დაყენებული. ამერიკელებს სასყიდლად არავითარ სანოვაგეს არ აწოდებენ და ამით ძლიერ გაუჭირეს საქმე, რადგან ამერიკელები მოკლებული არიან ახალ სანოვაგეს. ყველა საქმეები შეჩერებულია. საწყობებში ლპება შაქრის ლერწამი; ჭირნახულის მოსავლის იმედი ნაკლებია. პლანტაციები დაცარიელებულია, რადგან მუშაობის ფიქრი ეხლა არავის არ აქვს.

**საფრანგეთი და გერმანია.** ფრანგულ ჟურნალის „La Vie Illustrée"-ს რედაქციას თავისი თანამშრომელი გაუგზავნია გერმანიაში გასაგებათ, თუ რა აზრის არიან გერმანელები საფრანგეთისა და გერმანიის ერთმანეთთან დაახლოების შესახებ. კორესპონდენტს გერმანიის ბევრი წარჩინებული მოღვაწე უნახავს და დარწმუნებულა, რომ გერმანიაში საფრანგეთის წინააღმდეგი აშკარად არავინ არისო. გერმანია უყურებს თურმე საფრანგეთს ისე კი არა, როგორც მტერს, არამედ როგორც საშიშარს ქვეყანას. ელზას-ლოტრინგის შესახებ საცა-კი ჩამოაგდებდა ლაპარაკს საფრანგეთის ჟურნალისტი, ყველგან ასე ეუბნებოდნენ, რომ ამ ქვეყნების პოლიტიკური მდგომარეობა უცვლელად უნდა დარჩესო. დეპუტატს შრადერს უთქვამს მისთვის, რომ რაც უნდა მეგობრული განწყობილება გვქონდეს საფრანგეთთან, კავშირის შეკვრის საჭიროებას მაინც ვერ ვხედავ, რომელიც უთუოდ ინგლისის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართულიო. შრადერს აგრეთვე მოუყვანებია საფრანგეთის შინაური უთანხმოებანი და საზოგადოთ შინაურ საქმეების არევ დარევა. პროფესორ დელბრიუკთანაც ჰქონია საუბარი კორესპონდენტს. დელბრიუკი შესაძლოდ ვერ ჰპოებს თურმე ამ ჟამად საფრანგეთ-გერმანიის ერთმანეთთან დაახლოებას; საუკეთესო შემთხვევა ამ ორ სახელმწიფოს ერთიმეორესთან დაახლოებისა ტრანსვაალის შესახებ ატეხილ უთანხმოების დროს იყო; საფრანგეთს მაშინ მხარი უნდა დაეჭირა გერმანიისათვის ინგლისის წინააღმდეგ და მისს გულს მოიგებდაო; მაგრამ საფრანგეთმა ეს საუკეთესო შემთხვევა დაჰკარგა და ამის გამო ჯერ კიდევ უნდა ვუცადოთ იმ გვარს შემთხვევასო. დეპუტატს ბარტს უთქვამს კორესპონდენტისთვის, რომ საფრანგეთს თუ გერმანიასთან მეგობრობა სურს, ახალშენებში უცხო ქვეყნების საქონელზედ ბაჟი უნდა მოსპოს და თავისუფალ ვაჭრობის ნება მისცეს ყველა სახელმწიფოსო.

**ჩერნოგორია.** იტალიის ტახტის მემკვიდრის დაქორწინებამ ჩერნოგორიის მთავრის ქალზედ ერთობ მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან ეს ორი ქვეყანა. შარშან, მაგალითად, საფოსტო კონვენცია იქმნა დადებულ, და დაწესდა გემების თავთავის დროზედ მიმოსვლა იტალიისა და ჩერნოგორიას შორის, ხოლო წელს მეფე ჰუმბერტომ ბრძანება გამოსცა ჩერნოგორიაში იტალიის საელჩოს დაარსების შესახებ, რომელიც, ცხადია, კიდევ უფრო დააახლოვებს ერთმანეთს ამ ორს სახელმწიფოს.

— გაზეთების სიტყვით, წარსული წელი ძლიერ ნაყოფიერი იყო ჩერნოგორიის შინაურ და გარეშე საქმეებისათვის. პირველად საყურადღებოა ის გარემოება, რომ შინაური პირუტყვი ერთობ ბევრი გაუყიდნიათ ჩერნოგორელებს საზღვარ გარეთ გასაყვანად, და ეს დარგი მეურნეობისა ხომ უმთავრეს სიმდიდრეს შეადგენს მთელის ქვეყნისას. სახალხო განათლების საქმეს დიდი ნაბიჯი წაუდგამს ახალის სკოლების დაარსებით. განკარგებულა აგრეთვე და გავრცელებულა მართლ-მსაჯულება, რომლის დასამტკიცებელ საბუთად მოაჩნიათ გამოცემა შესწორებულის კანონდებულებისა. გარეშე საქმეებში დაწინაურების საბუთად ის მოჰყავთ, რომ ჩერნოგორიამ საფოსტო ხელშეკრულობა დასდო იტალიასთან, ბოლგარიის მთავარი მივიდა ცეტინიეში, მთავარი ნიკოლოზი წავიდა ლონდონში, საცა დიდის პატივისცემით იქმნა იგი მიღებულ, მეგობრული განწყობილება თანამორწმუნე საბერძნეთთან უფრო განმტკიცდა, კარგი დამოკიდებულება აქვს ჩერნოგორიას ოსმალეთთანაც, რომელიც დიდის ყურადღებით ეპყრობა ჩერნოგორიის მთავრობის ყოველ გვარს განცხადებას და სხ. ერთს უდიდეს და სასიამოვნო მოვლენად ჩერნოგორიის ცხოვრებაში იმასაც ასახელებენ, რომ რუსეთმა თოფები აჩუქა ჩერნოგორიას, რის წყალობითაც ყველა ჩერნოგორელს, რომელსაც-კი იარაღის ტარება შეუძლიან, შეძლება მიეცა შეთოფ-იარაღებისა.

**იაპონია.** გავლენიანი ლიბერალური გაზეთი ტოკიოში „იიმინა" ამტკიცებს, რომ იაპონიის მთავრობამ მომეტებული ყურადღება უნდა მიაქციოს კორეას. ევროპის დიდი სახელმწიფოები, გაზეთის სიტყვით, ისე არიან გართულნი თავიანთ შინაურს საქმეებში და გატაცებულნი ჩინეთით, რომ კორეასათვის არც ერთ იმათგანს დრო აღარ რჩება, და ამიტომ იაპონია ეხლავე თუ არ ჩაერია კორეს საქმეებში, მერმეთ გვიანღა იქმნება. ნახევარს გუნძულზედ საქმეების ასე არევ-დარევას, სასტიკი ქვეყანაში ხალხის ყლეტვას და ქვეყნის ყველა კუთხეში გავრცელებულს ავაზაკობას ბოლო უნდა მოეღოს, თუ არ გვინდა, რომ რუსეთის ჯარმა დაიჭიროს სეული. იაპონიის ერმა იმდენი მსხვერპლი გაიღო კორეს გულისთვის, რომ საკვირველიც არ არის, ეხლა თუ იმას ამ ქვეყნის დაპყრობა ისე ესწრაფვის, როგორც სიცხიანს კაცს წყლის დალევაო.

## თეატრის მატიანე

„კონსტანტინე ბატონიშვილი", ისტორიული დრამა, ქუთაისის სცენაზედ.

კვირას, 10 იანვარს, საზოგადოების თხოვნით ხელმეორედ წარმოადგინეს დრამა ა. ყაზბეგისა „კონსტანტინე ბატონიშვილი". წარმოდგენამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მრავალი ხალხი მიიზიდა. მსახიობნიც ამ დღეს კარგად იყვნენ მომზადებულნი და თავიანთის რიგიანის თამაშობით საზოგადოება საკმაოდ ასიამოვნეს. საზოგადოების განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევდა ქ-ნი ნ. ჩხეიძის ასული, რომელსაც ამ დრამაში ყველაზედ ძნელი როლი ჰქონდა. ჩვენდა სასიამოვნოდ, როგორც ეტყობა, ეს ახალგაზდა ქალი თვალ-საჩინო ადგილს დაიჭერს ჩვენს ქალებით ღარიბს სცენაზედ, თუ, რასაკვირველია, ბეჯითობას და მუყაითობას არ უღალატა. ქეთევან დედოფლის როლი თითქმის უნაკლულოდ ჩაატარა და დაკვირვებულის თამაშობით ბევრს ცრემლი მოჰგვარა. ქეთევან დედოფლის როლზე ადვილი როლი არ არის კონსტანტინე ბატონიშვილის როლიც, რომელსაც ასრულებდა ბ-ნი გამყრელიძე. როლის სიძნელე ადვილად დასძლია ბ-ნმა გამყრელიძემ და საუცხოვოდ ასრულა. კარგი იყო ძალიან ბ-ნი ბალანჩივაძეც შერმაზან ჩოლოყაშვილის როლში, მაგრამ ის-კი დავიწყებოდა, რომ, როცა დატყვევებული დედოფალი მძიმე შავებით სცენაზედ გამოდის, რიგი მოითხოვს მეფის სარდალიც შავებით იყოს და არა მხიარულის წითელის ქულაჯით. ასეთი შეცდომა მოუვიდა დედოფალთან შეზრდილს ქალსაც, რომელიც დედოფალს მხიარულის ქათიბით გამოჰყვა, როცა იგი სცენაზედ შავებში იყო. ჰკოჭლობდა ქართული ნადიმი, რომელშიაც მრავალს ხალხს მიეღო მონაწილეობა და სიმღერით-კი მარტო ორი კაცი ჰმღეროდა; დალოცვილები დანარჩენნი ბანს მაინც ეტყოდნენ, რომ მცირედი ილიუზია მაინც დარჩენოდა მაყურებელ საზოგადოებას. არც ჰიდაობა ჰგავდა ფალავნების ჰიდაობას.

მაყურებელი

## სასამართლოს მატიანე

პავლე ხაბალაშვილის საქმე.

15 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა მეორე განყოფილებამ გაარჩია საქმე პავლე გარსევანის ძე ხაბალაშვილისა, რომელსაც ის ჰბრალდებოდა, რომ 26 გიორგობისთვეს 1897 წ ჩხუბში გიორგი გოგიჩაშვილს ხელის თათი მოაჭრა. გამოძიებამ გამოარკვია შემდეგი: ბრალდებული ორის ამხანაგით მიდიოდა აღბულახიდგან სოფ. პატარა დმანისში; გზაზე მათ წამოეწივნენ გიორგი გოგიჩაშვილი ორის

თანამგზავრით. ორივე ჯგუფის მოგზაურნი ნასვამები იყვნენ თურმე და მცირე მიზეზის გამო ჩხუბი მოჰსვლიათ ბრალდებულსა და გიორგი გოგიჩაშვილს. ერთი მოწმე, სახელდობრ მაქსიმე კარკუსაშვილი, ჩარეულიყო მათ შუა გასაშველებლად. ხაპალაშვილს ჩამოეგლიჯა მისთვის ხმალი, ამოელო და გოგიჩაშვილისათვის თავში ესწორებინა, გოგიჩაშვილს მარცხენა ხელი შეეშველებინა და, მართლაც, თავი დაეფარა, მაგრამ სამაგიეროთ ხმალს მკლავისათვის თათი წაეკვეთა და ხმლისავე წვერი ლოყის თავში მოჰხვედროდა. ეს გარემოებანი სასამართლოს გამოძიებამ დაამტკიცა და მსაჯულებმა დაადგინეს: ბრალდებული ერთის წლით პატიმართა განყოფილებაში გაიგზავნოს და ჩამოერთვას ზოგიერთი უფლება.

## დამაკვირდი

განისწავლეთ მიზეზნი და გარემონი მიზეზთანი და სახლისა თქვენისა მოთხრობასა ნუ დაიდუმებთ განშვენებითა ქართულთა ენათაგან.

მიტროპოლიტი იონა

* * *

ბაგენი უწმიდურნი გახენი
და ნათელნი დაუვალნი გნახენი.

ანტონი I

* * *

რაჲ შენ სხვათაგან არა გინდეს შემთხვევად, ნუცა შენ სხვათა ინებებ მის შემთხვევად.

ნიკოლოზ ტფილელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ბომბეის სამკურნალო საზოგადოების მდივანმა გამოაცხადა გაზეთებში, რომ მკურნალის ჰავკინის მიერ გამოგონილი წამალი შავის ჭირის წინააღმდეგ იმდენად კარგია, რომ საჭიროდ ვხედავთ ურჩიოთ ხალხს ამ წამლის ხმარებაო. ეს წამალი შავს ჭირს მაშინ-კი არ არჩენს, როდესაც კაცს შეხვდება ეს სენი. ასეთი წამალი ჯერ არ იციან მკურნალებმა. ეს წამალი ასაცრელია. აცრილს კაცს შავი ჭირი არ შეხვდება ექვსის თვის განმავლობაში, თუ კიდევ ხელმეორედ აუცრეს 10 დღის შემდეგ და მერე კიდევ მესამედაც, მაშინ ხომ სრული იმედი უნდა ჰქონდეს კაცსა, რომ შავი ჭირი აღარ შეხვდება.

* * *

მკითხველს მოეხსენება, რომ შარშან წინ მთელის რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა აღწერა მოხდა. ამ აღწერამ დაამტკიცა, რომ რუსეთის იმპერიაში ძლიერ ბევრი ყოფილა ძლიერ მოხუცებული კაცი. თითოეულ გუბერნიაში ოთხასამდე კაცი ყოფილა ასის წლისა და უფრო მეტისაც. ზოგან 160 წლის კაციც-კი ყოფილა. ეხლა რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ყველა ამ მოხუცებულ კაცებს მისწერეს წერილები და ყველას სთხოვეს, დაწვრილებით მოგვწერეთ, როგორ ატარებდით დროს, როგორა სცხოვრობდით, ჰმუშაობდით, რითი იკვებებოდითო და სხვ. ეჭვი არ არის, რომ ყოველივე ეს ცნობები მეტად საინტერესო იქნება და როდესაც გამოქვეყნდება, მაშინ ჩვენც შევატყობინებთ ჩვენს მკითხველებს.

# დეპეშა

14 იანვარი

**სოფია.** ის ხმები, ვითომც ოსმალეთსა და ბოლგარიას შორის დამოკიდებულება გამწვავებულიყოს მაკედონიის საქმის გამო, ბირჟაზედ გამოგონილად მიაჩნიათ. ოსმალეთსა და ბოლგარიას შორის ისევ საუკეთესო მეგობრული დამოკიდებულება არსებობს.

**ცეტინიე.** აქ მოსულ ცნობებით, ძველის სერბიის ყველა ალბანელთა თემების წინამძღოლნი იპეკში არიან დაბარებულნი, მაგრამ რისთვის — არავინ იცის.

**პეკინი.** რუსეთის რაზმის ერთმა ნახევარმა პეკინი დასტოვა, ასე რომ ამ ჟამად რუსეთის რაზმი აღარ სჭარბობს სხვა რომელიმე სახელმწიფოს რაზმს.

**პარიჟი.** „Soir“-ი გვარწმუნებს, რომ იმ შემთხვევის გამოძიებამ, რომელსაც ბორეპერი ასახელებდა, აღმოაჩინა, რომ სასამართლოს წევრნი ბარი და დიუმა დისციპლინალურის სასჯელის ღირსნი არიან, ლევი და მანო — ოფიციალურის საყვედურისა. მინისტრთა საბჭო ხვალ განიხილავს ზოგიერ დეპუტატის წინადადებას იმის შესახებ, რომ საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას ჩამოერთვას ეს საქმეო.

**ლონდონი.** „Morning Post“-ს დეპეშითატყობინებენ ნიუ-იორკიდგან: გარეშე საქმეთა სამინისტროს გერმანიის მთავრობამ შეატყობინა, რომ აზრად არა გვაქვს გავამრავლოთ ჯარი სამოას კუნძულებზედაო.

**კონსტანტინეპოლი.** როგორც კრიტიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, საერო კრების არჩევანები მეფის შვილმა დანიშნა 5 თებერვლისათვის.

რეტიმნოში მოსვლის შემდეგ მეფის შვილმა რუსეთის იმპერატორს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც მადლობას უცხადებს რუსეთის ჯარის მიერ ოლქში წესიერების დაცვისა და მეფის შვილის მიღებისათვის.

**გელსინგფორსი.** დღეს თვითვეულმა წოდებამ თავიანთ შორის აარჩია ამომრჩეველნი, რომელთაც შემდეგ უნდა აარჩიონ კომისიის წევრები, — 4 კაცი თითო წოდებიდგან. თავად-აზნაურობამ 160-დგან აარჩია 23 კაცი, სამღვდელოებამ 50-დგან 12 კაცი, მოქალაქეთ — 60-დგან 18, გლეხობამ — 60 დგან — 17.

15 იანვარი

**ოდესსა.** აქ მოვიდნენ იმ კომისიის წევრნი, რომელთაც სათადარიგო ჯარის კაცნი უნდა დაიქირაონ ჩინეთის გასაყვან რკინის გზის დასაცველად: რამდენიმე ათასი კაცია საჭირო. მსურველი ბევრია. ჯამაგირი $20\frac{1}{2}$ მან., ტანისამოსი და საჭმელ-სასმელიც სახელმწიფო.

აქაურ ამერიკის საელჩოს ცნობით, შეერთებული შტატები სამხრეთ რუსეთსა და ბოლტიის იქითა მხარეს დიდს სავაჭრო ადგილებში აარსებენ სავაჭრო სააგენტოებს, რომლებშიაც ამერიკის საქონელიც იქნება გამოფენილი. ასეთი სააგენტო ოდესსაშიაც იქმნება გამართული.

**ვაშინგტონი.** მანილიიდგან იუწყებიან, რომ უკვე გამოაცხადეს ფილიპპეს კუნძულები რესპუბლიკადაო და რომ ეს ამბავი დიდთა სახელმწიფოთ უკვე ნაუწყები აქვთო.

**ვენა.** კეკსგოლმის რაზმის დეპუტაციამ გვირგვინი უძღვნა იმპერატრიცა ელისაბედის სამარეს.

**მადრიდი.** კორრეა მინისტრთა ბჭობას არ დაესწრო. მისი იქ არ ყოფნა იმ განაჩენს მიეწერება, რომელიც უზენაესმა სასამართლომ დაადგინა ორის გენერალის შესახებ: ერთი ფაუდენესია, რომელმაც მანილია დაუთმო მტერს და გუშინდელ დღიდგან საპატიმროშია დაპატიმრებული, ხოლო მეორე ტორალე, რომელმაც სანტ იაგო დაუთმო მტერს და ამ ჟამად იქ არ იმყოფება.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

თქვენის გაზეთის საშუალებით გულითად მადლობას ვუცხადებთ თავიანთ გამოცემათა უფასოთ დათმობისათვის პატივცემულ რედაქციებს. „Кавказъ“-ისას, „კვალისას“, „ჯეჯილისას“, „ცნობის ფურცელისას“, „კრებულისას“, და „მწყემსისას“; აგრეთვე თავიანთ გამოცემათა დაკლებულ ფასად დათმობისათვის „ივერიისას“, „მოამბისას“ და „Новое Обозрѣніе“-სას. ვსთხოვ ტფილისის სხვა გაზეთებს ეს წერილი გადაჰბეჭდონ.

ამხანაგთა მონდობილობით ოდესელი სტუდენტი დ. ჯორჯიკია.


# განცხადებანი

1899

## „მოამბე“
### თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეექვსე)

**გამოვა იმავე პროგრამით**

მხოლოდ ჟურნალის კრცელის პროგრამის საკსებით შესასრულებლად მომავალს წელს რედაქცია ეცდება, სხვათა შორის, მკითხველებს მიაწოდოს მიმოხილვანი შინაურის ცხოვრებისა და უცხოეთისა, აგრეთვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამ განყოფილებათათვის მასალის შეკრება და სტატიების წერა იკისრა ახლად შედგენილმა სარედაქციო კომისიამ. მომავალს წლიდან ჟურნალში დაიბეჭდება ახალი ორიგინალური მოთხრობანი და დრამატიული თხზულებანი ჩვენის ცნობილი მწერლებისა.

დეკემბრის ნომერში დაიწყება ბეჭდვა სოფ. მგალობლიშვილის დიდის მოთხრობისა ჩვენის ცხოვრებიდან.

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის ტ კავკასიის ქალაქებში | **10** მან. | **6** მან. | **4** მან. |
| საზღვარ გარედ | **13** მან. | **7** მან. | **5** მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: **1** იანვრამდე — **4** მან., **1** აპრილამდე — **3** მან. და **1** სექტემბრამდე — **3** მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* „**Моамбе**“.

რედაქციამ მოსახერხებლად სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში.




(3—მ.—3)

## იყიდება იაფად და პირიანად

სხვა და-სხვა საგალანტერეინო საქონელი: ქოლგები, ხელთათმანები, მარაოები, ლენტები, არშიები, ჩულქები, კორსეტები, პირ ბადეები და ქალისა და კაცის სხვა სამკაული

## მაღაზია № 21.

თამამშევის ქარვასლაში, ფორაქოვის მაღაზიის პირდაპირ.
ყველა საქონელი კარგის ღირსებისაა.

(20—ნ.—9) ი. ნიკოლაშვილი

**Съ 1 ЯНВАРЯ 1899 ГОДА БУДЕТЪ ВЫХОДИТЬ ВЪ СВѢТЪ**

**ЕЖЕДНЕВНО,**

не исключая дней и послѣпраздничныхъ,

## НОВАЯ ГАЗЕТА
## „АСХАБАДЪ“

программа:

1) Телеграммы политическія и торговыя.
2) Мѣстная и областная хроника.
3) Торговыя свѣдѣнія.
4) Объявленія казенныя и частныя.

**Принимается подписка**

на 1899 годъ.

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:**

| | Безъ доставки | Съ дост. и перес |
|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | 3 р. 50 к. | 4 р. 50 к. |
| — 6 — | 2 „ 50 „ | 2 „ 50 „ |
| — 3 мѣсяца | 1 „ 25 „ | 1 „ 50 „ |
| — 1 мѣсяцъ | — „ 50 „ | — „ 75 „ |
| За границу | 7 руб. | |

подписка и Объявленія

принимаются въ Асхабадѣ, въ конторѣ редакціи.

(3—3) *Редакторъ-издатель* З. Д. ДЖАВРОВЪ.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 годъ**

на ежемѣсячный литературный и научный журналъ

## РУССКОЕ БОГАТСТВО,

издаваемый

**Вл. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ,**

подписная цѣна:

На годъ съ доставкой и пересылкой . . . . , . . . 9 р.
Безъ доставки въ Петербургѣ и Москвѣ . . . . . . 8 р.
За границу . . . . . . . . . . . . . . . . . 12 р.

подписка принимается:

**Въ С. Петербургѣ** въ конторѣ журнала—уг. Спасской и Басковой ул., д. 1—9

**Въ Москвѣ**—въ отдѣленіи конторы—Никитскія ворота, д. Гагарина.

*При непосредственномъ обращеніи въ контору или въ отдѣленіе,* допускается разсрочка:

при подпискѣ . . . 5 р. и къ 1-му іюля . . . 4 р. или: при подпискѣ . . . 3 р., къ 1-му апрѣля . . 3 р., и къ 1-му іюля . . 3 р.

Не приславшимъ доплатъ въ означенные сроки высылка журнала прекращается.

**Книжные магазины**, доставляющіе подписку, могутъ удерживать за коммиссію и пересылку денегъ только 40 коп. съ каждаго годового экземпляра.

Подписка въ разсрочку отъ книжныхъ магазиновъ не принимается.

(5—4)


Дозволено цензурою, Тифлисъ 15 го Января 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე